კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის დამფუძნებელი კრების ოქმი

(შედგა 1994 წლის 8 აგვისტოს ქ. თბილისში)

1994 წლის 8 აგვისტოს 14.00 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის დამფუძნებელი კრება.

ესწრებოდნენ: იხ. დამფუძნებელი კრების მონაწილეთა (სულ 63) თანდართული სია.

კრება გახსნა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ხუციშვილმა. იგი ახლახანს დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატების სტენფორდის უნივერსიტეტიდან, სადაც ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მუშაობდა. მან 1994 წლის მაისში აშშ მაქარტურის ფონდიდან საქართველოში კონფლიქტების კვლევის დამოუკიდებელი ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ წინადადებაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო.

კრებამ აირჩია თავმჯდომარე და მდივანი. ამის შემდეგ კრების თავმჯდომარემ თბილისის უნივერსიტეტის კათედრის გამგემ, პროფესორმა აღექსანდრე რონდელმა სიტყვა გადასცა პროფ. გიორგი ხუციშვილს, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოსა და მის მიმდებარე რეგიონებში არსებული სოციალური, ეთნოპოლიტიკური და რელიგიური კონფლიქტების კვლევის, პროგნოზირებისა და მოგვარებისათვის დამოუკიდებელი საერთაშორისო ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ პროექტის შინაარსი, რომელიც ამერიკის და კანადის წამყვან სპეციალისტთა ხელშეწყობით შემუშავდა და მათი მოწონება დაიმსახურა. პროფ. გ.ხუციშვილმა წინადადება გამოთქვა ახალ ცენტრს დაერქვას "კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრი".

მოისმინეს: 1.თბილისში კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ. 2. ცენტრის წესდების პროექტი. 3. ცენტრის დირექტორის დამტკიცების შესახებ. 4. ზოგიერთი პიროვნების ცენტრის დამფუძნებელ წევრებად დაუსწრებლად არჩევის შესახებ.

აზრი გამოთქვეს და ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ წინადადებას მხარი დაუჭირეს პროფ. ა.რონდელმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა პ.მამრაძემ, ქალბატონმა ლ.მელიქიშვილმა, ბატონებმა ზ.მხეიძემ, გ.სიგუამ, ი.საკანდელიძემ და სხვებმა. კრების მონაწილენი ერთსულოვნად იწონებენ ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ წარმოდგენილ პროექტს მის ყველა ნაწილში, ცენტრის წესდების პროექტსა და მისი პირველი დირექტორის კანდიდატურას.

დაადგინეს: 1. ჩამოყალიბდეს კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრი (ქვემოთ - "ცენტრი"), როგორც არასამთავრობო, არაკომერციული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ბინას დაიდებს საქართველოს დედაქალაქ თბილისში.

2. მოწონებულ იქნეს ცენტრის წესდების პროექტი.

3. ცენტრის დირექტორად დამტკიცდეს საქართველოში კონფლიქტოლოგიის ცენტრის დაარსების იდეისა და მის შესახებ პროექტის ავტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ხუციშვილი. მიენდოს ბ-ნ გ.ხუციშვილს ცენტრის დამფუძნებელ წევრთაგან საინიციატივო ჯგუფის შექმნა მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად, და ცენტრის გამგეობის წევრთა შერჩევა.

4. ცენტრის დამძუნებელ წევრებად (დაუსწრებლად) დამტკიცდნენ აშშ ჯონ და კეთრინ მაქარტურების ფონდის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის პროგრამის დირექტორი ბ-ნი ენდი კაჩინსი, საერთაშორისო კორპორაცია "პარტნიორები დემოკრატიული ცვლილებებისათვის" პრეზიდენტი ბ-ნი რეი შონხოლცი (აშშ), კანადის ქ.კინგსტონის სამეფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორი ნილ მაკფარლეინი, აშშ სტენფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და შეირაღებაზე კონტროლის ცენტრის დირექტორი პროფესორი დევიდ ჰოლოუეი, აშშ ბერკლისა და სტენფორდის უნივერსიტეტების პროფესორი, პოლიტოლოგი გეილ დაპიდუსი

კრების თავმჯდომარე ა. რონდელი

მდივანი პ. მამრაძე

1994 წ. 8 აპრილი